

თავი 5

შრომითი დანახარჯების აღრიცხვა

- 1) კომპანია ძალიან დატვირთულია და უხდება ზედმეტი საათების მუშაობა. ძირითად მუშებზე ზედმეტი სათებისათვის დანამატი თანხა, ჩვეულებრივ, კლასიფიცირებული იქნება, როგორც:
 - ა) ადმინისტრაციული ძირითადი დანახარჯი;
 - ბ) ქარხნის ზედნადები დანახარჯი;
 - გ) ძირითადი შრომის დანახარჯი;
 - დ) ადმინისტრაციული ზედნადები დანახარჯი.
- 2) რომელი დანახარჯი იქნება დაკავშირებული მუშახელის შეცვლასთან:
 - ა) სამუშაო პირობების გაუმჯობესების;
 - ბ) სწავლის;
 - გ) საპენსიო ანაზღაურების;
 - დ) სოციალური დახმარების უზრუნველყოფის.
- 3) შემდგომი ინფორმაცია შეეხება საწარმოო ერთეულს:

საბიუჯეტო დრო	9.50 საათი
ფაქტობრივად ნაშუშევარი დრო	9.20 საათი
ფაქტობრივი წარმოების ნორმატიული დრო	9.30 საათი

 როგორი იქნება პერიოდის შრომის ნაყოფიერების კოეფიციენტი 1%-მდე სიზუსტით:
 - ა) 97%;
 - ბ) 98%;
 - გ) 99%;
 - დ) 101%.
- 4) ფირმაში ძირითადი მუშების პრემია, ჩვეულებრივ, განისაზღვრება როგორც:
 - ა) ძირითადი დანახარჯის ნაწილი;
 - ბ) ქარხნის ზედნადები დანახარჯი;
 - გ) ძირითადი შრომის დანახარჯი;
 - დ) ადმინისტრაციული შრომითი დანახარჯი.
- 5) რომელი შეიძლება ჩაითვალოს დამხმარე შრომად:
 - ა) ტელევიზორების მწარმოებელი კომპანიის ამწყობი მუშახელი;
 - ბ) ქარხნის საწყობის ასისტენტი;
 - გ) სამშენებლო კომპანიის მემონტაჟეები;
 - დ) აუდიტორული ფირმის, აუდიტორული მოხელე.
- 6) რომელი შეიძლება ჩაითვალოს ძირითად შრომად:
 - ა) კომპანიის კადრების მენეჯერი;
 - ბ) მშენებელი სამშენებლო კომპანიაში;
 - გ) მაღაზიის გენერალური მენეჯერი;
 - დ) კომპანიის ექსპლუატაციის მენეჯერი.

7) შეკვეთის ნორმატიული დრო 3.300 საათია, რომელიც მოიცავს 25% მოცდენის დროს. თუ ფაქტიური მთლიანი შრომითი დანახარჯი არის 36.300 ლარი, მაშინ რისი ტოლია მოცდენის შრომითი დანახარჯი:

- ა) 9075 ლარი;
- ბ) 27225 ლარი;
- გ) 22040 ლარი;
- დ) 7260 ლარი.

8) წლის დასაწყისში კომპანიაში მუშაობდა 4.600 მუშახელი. წლის განმავლობაში დაქირავებულ იქნა 1.800 მუშახელი და წლის ბოლოს კომპანიაში მუშაობდა 5.500 მუშახელი.

როგორი იყო წლის შრომითი დენადობის განაკვეთი, გამოსახული როგორც საშუალო მუშახელის რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი? პასუხი გამოსახეთ 1% -მდე სიზუსტით:

9) გამწმენდი ფირმა ვარაუდობს, რომ ოფისის გაწმენდისათვის დასჭირდება 2.520 ფაქტობრივი საათი. მოულოდნელი მოცდენები და დაკარგული დრო, სავარაუდოთ იქნება მომუშავეთა დროის 10%. თუ ანაზღაურების განაკვეთი არის საათში 4 ლარი, მაშინ რისი ტოლია საბიუჯეტო შრომითი დანახარჯი:

- ა) 10.080 ლარი;
- ბ) 11.088 ლარი;
- გ) 11.200 ლარი;
- დ) 12.197 ლარი.

10) რომელი არ არის პირდაპირი ხელფასი:

- ა) სასადილოს მზარეულის ხელფასი;
- ბ) წარმოების მუშაკის ზენორმატიული დროის ძირითადი ნაწილის ანაზღაურება;
- გ) ძირითადი მუშის მოცდენის დროის ანაზღაურება.

ამოცანა 1.

კომპანია ამუშავებს ქარხანას, სადაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა 40 ძირითადი მუშა. ძირითადი განაკვეთი სთ-ში შეადგენს 4.00 ლარს ძირითადი დრო თვეში შეადგენს 6080 სთ-ს. თვის განმავლობაში ძირითადი მუშების მიერ ფაქტიურად ნამუშევარმა საათებმა შეადგინა 6.528 სთ. წარმოების საერთო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, (რომელიც არ არის დამოკიდებული მომხმარებლის მოთხოვნებზე) მუშებმა იმუშავეს ზენორმატიული საათები, რისთვისაც გადაუხადეს 35% დანამატი. ხელფასების დაკავებამ შეადგინა დარიცხული ხელფასის 30%. ძირითადი მუშების მიერ ნამუშევარი საათებიდან 188 სთ აღირიცხა როგორც მოცდენა.

გაიანგარიშეთ:

- მთლიანი (დარიცხული ხელფასი);
- დაკავებები;
- წმინდა ხელფასი;
- პირდაპირი შრომითი დანახარჯი;
- არაპირდაპირი შრომითი დანახარჯი.

ამოცანა 2.

2011 წლის დასაწყისში კომპანიას ჰყავდა 4.000 თანამშრომელი. ამ წელს ჩატარდა კომპანიის რეორგანიზაცია და 1.500 თანამშრომელი შემცირებაში მოჰყვა, ხოლო 400-მა თანამშრომელმა თვითონ დატოვა კომპანია და ერთ - ერთ მთავარ კონკურენტ კომპანიაში გადავიდა სამუშაოდ. მათ ნაცვლად ამავე წელს მიიღეს 400 ახალი თანამშრომელი.

გაიანგარიშეთ:

გამოითვალთ სამუშაო ძალის დენადობის კოეფიციენტი 2011 წლისათვის.
(გათვლების საბოლოო შედეგები დაამრგვალეთ მთელეობამდე სიზუსტით).

ამოცანა 3.

კომპანია გეგმავს პროდუქტ X-ის 40.000 ერთეულის გამოშვებას 4.000 სთ-ში (თითო ერთეულზე იგეგმება 0.10 სთ-ის დახარჯვა) წლის მანძილზე. ამ წელს პროდუქციის ფაქტობრივმა გამოშვებამ შეადგინა 38.000 ერთეული, რასაც დასჭირდა 4.180 სთ. მოგეთხოვებათ:

გაიანგარიშეთ:

შრომის ნაყოფიერების, სამუშაო ძალის გამოყენების და შრომის ეფექტიანობის კოეფიციენტები.
(გათვლების საბოლოო შედეგები დაამრგვალეთ მთელეზამდე სიზუსტით).

ამოცანა 4.

შპს “X” ამჟამად ძირითადი წარმოების მუშებს უხდის დროითი განაკვეთით, სთ-ში 6,5 ლარს. შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების მისაღწევად, კომპანიამ დანერგა პრემიალური სქემა შემდეგ საფუძველზე – დახარჯული დრო/დასაშვები დრო ხ დაზოგილი დრო ხ საათობრივი განაკვეთი. შეთანხმებულია, რომ საამწყობო საამქროს მუშისათვის ერთი კონკრეტული ოპერაციის შესასრულებლად დასაშვები ნორმატიული დრო არის 37,5 წთ.

პრემიალური სქემის ამოქმედებისას პირველ კვირას ერთმა მუშამ იმუშავა **44** სთ და შეასრულა **94** ოპერაცია.

გაიანგარიშეთ:

ამ მუშის მთლიანი (დარიცხული) ხელფასი, რომელიც ეყრდნობა 6,5 ლარს საათობრივ განაკვეთს პლუს შრომის ნაყოფიერების პრემია – დახარჯული დრო/დასაშვები დრო ხ დაზოგილი დრო ხ საათობრივი განაკვეთი.

(გათვლების საბოლოო შედეგები დაამრგვალეთ მეასედებამდე სიზუსტით).

ამოცანა 5.

შეკვეთებით მომუშავე კომპანიას დანერგილი აქვს პრემიალური სქემა, რომლის თანახმადაც, ერთი შეკვეთის ნორმატიულ დასაშვებ დროსთან შედარებით დაზოგილი დროის 75%-სათვის მუშას დამატებით უხდიან ნორმატიული საათობრივი განაკვეთი.

შემდეგი მონაცემები ეხება ერთი მუშის მიერ შესრულებულ 1206-ე შეკვეთას:

დასაშვები დრო 1206-ე შეკვეთისათვის – 4 სთ

1206 შეკვეთის შესრულებაზე დახარჯული დრო – 3 სთ

ანაზღაურების ნორმატიული საათობრივი განაკვეთი – 8 სთ

რამდენს გადაუხდიან მუშას მთლიანი 1206 შეკვეთის შესრულებისათვის?

ამოცანა 6.

X ქარხანა აწარმოებს სამი ტიპის პროდუქციას A, B და C –ს.

ერთი კვირის ინფორმაცია იყო შემდეგი:

შრომითი კატეგორია	თანამშრომელთა რაოდენობა	საათობრივი განაკვეთი ლარი	ინდივიდუალურად ნამუშევარი საათები (ფაქტიური)
I	6	4.00	40
II	18	3.20	42
III	4	2.80	40
IV	1	1.60	44 (1200სთ)

წარმოების შემდეგი და სტანდარტი ნორმატიული დრო იმავე კვირაში იყო:

კომპონენტი	გამოშვება ცალებში	ნორმატიული წუთები ყოველი ერთეულისათვის
A	444	30
B	900	54
C	480	66 (1560სთ)

კვირაში ნორმატიური სამუშაო დრო არის 38 საათი და ზედმეტად ნამუშევარ საათებზე გადახდა ხდება დანამატის სახით, ნორმატიული საათობრივი განაკვეთის 50% -ის ოდენობით.

მოქმედებს ჯგუფური სტიმულირების სისტემა: პრემია გაიანგარიშება შემდეგი წესით: გამოითვლება თითოეული ჯგუფის მიერ დაზოგილი დრო, რომელიც ტოლია საერთო ნამუშევარ საათებში, საერთო დაზოგილი დროის ხვედრითი წილის და შუამდგ მრავლდება ძირითად ანაზღაურების ტარიფზე.

გაიანგარიშეთ:

1. რამდენია ძირითადი გადასახდელი თანხა III კატეგორიის მუშახელისათვის?
2. რამდენია ზენორმატიული სამუშაო საათებისათვის გადასახდელი დანამატის თანხა II კატეგორიის მუშახელისთვის?
3. რამდენია მთლიანი გადასახდელი თანხა IV კატეგორიის მუშახელისათვის?

ამოცანა 7. კომპანია „სიო“-ს შრომის ანაზღაურების შისტემა განსაზღვრული აქვს შემდეგი წესით:

წარმოების პროცესში დაკავებულ ძირითად და დამხმარე მუშებს ხელფასი ერიცხებათ ნამუშევარი ფაქტიური საათების მიხედვით, ხოლო პრემია გაიცემა დარიცხული ხელფასის იმ პროცენტული ოდენობით, რომელიც გამოითვლება წარმოების ძირითადი პერსონალის შრომის ნაყოფიერების კოეფიციენტის მაჩვენებლის 100%-ზევით სამმაგი ოდენობით.

წარმოების ადმინისტრაციას ხელფასი ერიცხება ღრობითი სისტემით, ხოლო პრემია ერიცხება დარიცხული ხელფასის იმ პროცენტული ოდენობით, რომელიც გამოითვლება წარმოების ძირითადი პერსონალის სამუშაო ძალის გამოყენების კოეფიციენტით. (მაჩვენებელი 100%-ზევით)

ზოგად ადმინისტრაციას ხელფასი ერიცხება ღრობითი სისტემით, ხოლო პრემია ერიცხება დარიცხული ხელფასის იმ პროცენტული ოდენობით, რომელიც გამოითვლება წარმოების ძირითადი პერსონალის შრომის ეფექტიანობის კოეფიციენტით (მაჩვენებელი 100%-ზევით).

დამატებითი მონაცემები:

გეგმიური წარმოების მოცულობა-10500 ერთეული

ფაქტიური წარმოების მოცულობა-11200 ერთეული

ერთი ერთეულის წარმოებისათვის საჭირო გეგმიური საათი-0.75 სთ(45 წუთი)

ფაქტიურად ნამუშევარი: წარმოების მუშების საათები 6200 სთ

დამხმარე მუშების საათები 2100 სთ

შრომის ანაზღაურების განაკვეთი: წარმოების მუშების -4 ლ/სთ

დამხმარე მუშების 3 ლ/სთ

წარმოების ადმინისტრაციის ფაქტიური ხელფასი-6720 ლ

ზოგადი ადმინისტრაციის ფაქტიური ხელფასი-19180 ლ

დავალება: გამოიანგარიშეთ, საწარმოს პერსონალიზე დასარიცხი შრომითი დანახარჯები და ასახეთ შემდეგი სისტემის მიხედვით:

- 1 საწარმოს პირდაპირი შრომითი დანახარჯი
- 2 საწარმოს ზედნადები დანახარჯი
- 3 ადმინისტრაციული დანახარჯი